

პროექტის განმარტება

პროექტი № NV-47/18 დამუშავდა 2018 წლის საინვესტიციო გეგმის თანახმად, რომელიც ეხება ქ. თბილისში გლდანის დასახლებაში, მე-8-ე მ/რ, კორპუსი №18-ის 2 სადარბაზოს 0,4 კვ. ძაბვით ელ. მომარაგების სამწვერიანი მიწისქვეშა ამორტიზებული 1ც. ძალოვანი კაბელის შეცვლას 4-წვერიანი კაბელით ს/ჯ № 9088-დან შენობამდე, შენობის სარდაფიდან ძალოვანი გამანაწ. კარადის და ძალ. კაბელების გარეთ გამოტანას.

9 სართულიანი 2 სადარბაზოიანი საცხოვრებელი კორპუსის 1 სადარბაზოს სარდაფში კედელზე არის დადგმული ძალოვანი გამანაწილებელი კარადა, საიდანაც 0,4 კვ. ძაბვით მარაგდება კიბის უჯრედებში სხვადასხვა სართულებზე დადგმული აღრიცხვის კვანძის კარადები. შენობის პირველი სადარბაზოს შესასვლელთან გარე კედელზე დამაგრებით დაიდგას ძალ. გამანაწილებელი კარადა WPC-400/6, რომლის კორპუსი შეერთდეს ყრუდ არსებულ დამიწების კონტურზე. სარდაფში არსებულ კარადაზე ჩაიხსნას არსებული 6ც. კაბელი, გამოტანილი იქნას გარეთ, 1 სადარბაზოში ამომავალი კაბელები გაიჭრას, გაუკეთდეს საბოლოო ქუროები, შეყვანილი იქნას ახალ ძალ. გამან. კარადაში და შეერთდეს ცალცალკე სხვადასხვა სექციაზე. სამფაზიანი ლიფტების მკვებავი კაბელები შეიძლება ჩაერთდეს ახალ დადგმულ ძალ. გამანაწ. კარადაში ცალკე სექციაზე ან 0,4 კვ. ძაბვა აღებული იქნას აღრიცხვის კვანძის კარადაში არსებული ძალოვანი საკლემე ბლოკიდან განშტოების სახით კაბელი ABBF2(4*16)MM2 კვეთით.

გაითხაროს საკაბელო ტრანშიეი ს/ჯ № 9088-დან კორპ. № 18-ის მიმართულებით გრუნტში, შიდა კვარტალური ასფალტირებული ეზოს გვერდით გრუნტში, ამავე ასფალტირებული ეზოს გადაკვეთაში - ახალ დადგმულ ძალ. გამანაწილებელ კარადამდე და აქედან მე-2-ე სადარბაზომდე, მოეწყოს საკაბელო ბაღიში წვრილფრაქციური ქვიშით, მიწისქვეშა კომუნიკაციების გადაკვეთაში ჩაიდოს სქელკედლიანი დამცავი მილი, რომელშიდაც გატარდეს სამონტ. კაბელი, ჩაიდოს 1ც. კაბელი ABBF1 (4*185)MM2 კვეთის ს/ჯ-დან 1 სადარბაზომდე და აქედან 2ც. კაბელი NAYRY2(4*95)mm2 მე-2-ე სადარბაზომდე, მიეყაროს ქვიშა, სავალ ნაწილზე დაეყაროს ქვიშა-ხრეში, სამანქანო გზის გადაკვეთაში დაეყაროს ღორღი - დაიტკეპნოს და დაიგოს ასფალტი. შენობის გვერდით გრუნტში დაეყაროს ამოღებული გრუნტი და დაიტკეპნოს. მე-2-ე სადარბაზოსთან პოზიცია №1-ზე გაკეთდეს კაბელების განმხოლოება და არსებული 2ც. და ახალი ჩადებული 2ც. კაბელი ერთმანეთზე გადაიბას შუალედური გადაბმის ქუროების გამოყენებით.

ს/ჯ № 9088-ის 0,4 კვ. ძაბვის ნაკვეთურში არსებულ გამავალ სახაზო კარადაში და საცხოვრებელი სახლის სადარბაზოს შესასვლელში არსებულ ძალ. გამანაწ. კარადაში გაითიშოს ძალოვანი გამთიშველები, გამოიხსნას არსებული ამორტიზებული სამწვერიანი კაბელი, ახალ ჩადებულ კაბელს გაუკეთდეს საბოლოო ქუროები და შეერთდეს გამოსხნილი ძველი კაბელის ადგილზე ს/ჯ-ში და კორპ. №18-ის პირველ სადარბაზოსთან დადგმულ ძალ. გამანაწ. კარადის შემავალ გამთიშველზე.

ძალოვანი კაბელების ნულოვანი სადენი შეერთდეს კარადების კორპუსებზე დამცავი დანულების მოწყობის მიზნით.

სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოები შესრულდეს ПУЭ-ს და СНиП-ის ნორმების შესაბამისი პუნქტების დაცვით.

პნ-ბი № NV-47/18	
ფ.№	ფ.ნ.
2	4